# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 13 ივლისი 1900 წ. № 1179

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



## კბილის საექიმო კაბინეტი
## ნ. თ. ხორავასი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე. რაზიეზჟაია, 17, ვორონცოვის ძეგლთან. ნ. 10—2


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**11 ივლისს**

**პეტერბურგი.** ბლაგოვეშჩენსკში მშვიდობიანობაა. ჩინელები არ ჰფიქრობენ მეორე იერიშის მიტანას. სხვა რაზმების მოძრაობა სასურველად ხდება; შესამჩნევ წინააღმდეგობას არავინ უწევს; იმედია, რომ მალე წეს-რიგი დამყარდება მახლობელ გზებზე მაინც. ხარბინიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ მცხოვრებლები მშვიდობიანობას არ არღვევენ. მანჯურიაში მოძრაობა თანაგრძნობას ვერ პოულობს.

11 ივლისს მთავარ-შტაბში სანუგეშო ცნობები მოსულა ჩინეთიდან: ჩვენ ჯარებს გაუმარჯვნიათ ბრძოლის ველზე; ჩინეთის ჯარები წინააღმდეგობას ველარ სწევენ.

კულჯიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ საზღვარზე მშვიდობიანობა ჰუფევს. კვირაში ორჯერ დადის რუსეთის ფოსტა კულჯაში.

7 ივლისის დეპეშა: „აუცილებელი საჭიროებაა, დარჩენილი გზისა და დიდი საწყობების დასაცველად დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ძლიერი რაზმი. ყოველი დაგვიანება ძალას ჰმატებს ჩინელებს. სადგურ დაშიცაოში დატოვებულია პატარ-პატარა რაზმები. სადგურ სინიუეჩენის და აიდორუს პირდაპირ სდგანან ჩინელების ჯარები კრუპპის ზარბაზნებით.

11 ივლისს ჩამოვიდა საბერძნეთის მეფის შვილი ნიკოლოოზი და ახალ-პეტერგოფში წავიდა.

რუსეთის ჯარებმა წაართვეს ჩინელებს პეიხისა და ტიანცზინის მარცხენა ნაპირზე 1 ივლისს 42 ზარბაზანი. მანჯურიიდან იტყობინებიან, რომ ჩინელები ოფიციალურად კარგად იქცევიან, მაგრამ საიდუმლოდ კი ომისთვის ემზადებიანო.

მთავარ-შტაბს მოუვიდა 7 ივლისს დეპეშა ჩუგუჩიდან (დასავლეთ ჩინეთშია), რომლითაც ურუნჩის კონსული იტყობინება, რომ მთელ სინგუმინში მშვიდობიანობააო. გუბერნატორი ირწმუნება, რომ შემდეგშიაც ეგრე იქმნებაო.

6 ივლისს გამოგზავნილი დეპეშით მთავარ-შტაბს ატყობინებენ, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა დანგრეულია სადგურ დამიწორომდე. იანტაიში ბევრი მოსამსახურე და დარაჯებია დახოცილი. ჩინეთის დიდ-ძალი ჯარი თავს იყრის ჯერ კიდევ დაუნგრეველი გზის ახლოს.

პასუხად აქაური ჩინეთის ელჩის დეპეშისა დღეს მოვიდა ცუნგ-ლი-იამენის დეპეშა, რომელიც გამოგზავნილია შენის საშუალებით. ამ დეპეშაში სწერია: „5 ივლისს, ცუნგ-ლი-ამენის განკარგულებით, ჩვენმა მოხელემ ინახულა უცხოეთის ელჩები; ყველა კარგად და უვნებლად არიან. გარეშე საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რათა საელჩოებს საჭირო სურსათი არ მოაკლდეთ. შემდეგ სამინისტრომ წინადადება მისცა ელჩებს, სანამ პეკინის მცხოვრებლები დამშვიდდებიან იმპერატორის ჯარების მფარველობის ქვეშ გადასახლდნენ დროებით ტიანცზინში, სადაც ისინი ყოველმხრივ უზრუნველ ყოფილ იქმნებიან.

**ჩერნიგოვი.** საგანგებო საგუბერნიო საერობო კრებამ გადასცა წითელი ჯვრის ადგილობრივ განყოფილებას 5000 მანეთი შორეულ აღმოსავლეთში სასანიტარო რაზმისათვის გასაგზავნად.

**მოსკოვი.** წმ. ხარიტონის ეკკლესიის შენების დროს მუშებმა იპოვნეს ქილა, რომელშიაც 170 იმპერიალი და ნახევარ იმპერიალი იყო 1656 წლისა.

**ბელგრადი.** ხრისტიჩმა უარი სთქვა სამინისტროს შედგენაზე; როდესაც გაიგო, რომ მილანმა სამსახურს თავი დაანება, იონავიჩმა გამოაცხადა კაბინეტის შედგენის სურვილი.

**შანხაი.** ლიხუნჩანგმა გამოაცხადა, რომ უცხოელთა ელჩები ჯერ კიდევ ცოცხლები არიანო, მაგრამ თუ ევროპიელთა ჯარები დაიძრნენ პეკინისაკენ, მაშინვე ყველა უცხოელთ ამოჟლეტენ პეკინშიო. გარდა ამისა, მან სთქვა, რომ მას ადვილად შეუძლია 20 ათასი ევროპიელ ჯარის კაცით მშვიდობიანობა აღადგინოს ჩინეთში.

**ბერლინი.** ჩიფუში მყოფ გერმანიის კონსულის სიტყვით, შანდუნის გუბერნატორმა გაავრცელა ხალხში იმპერატორის შემდეგი ბრძანება: „ეხლანდელი ომი გამოწვეულია იმ განხეთქილებით, რომელიც არსებობს ჩინელ ქრისტიანთა და არა ქრისტიანთა შორის და აგრეთვე იმ გარემოებით, რომ უცხოელებმა ტაკუ დაიპყრეს. ძალიან სამწუხაროა, რომ აჯანყებულებმა მოჰკლეს გერმანიის ელჩი და იაპონიის საელჩოს ერთი წევრი. გუბერნატორებს და სხვებს წესიერების დაცვა ებრძანათ. ის ზარალი, რომელიც უცხოელთ მოუვათ მეამბოხეთაგან, გარდა ომის ხარჯისა, გამოანგარიშებულ იქმნება მთავრობისაგან.“

**ვაშინგტონი.** ჩინეთის თხოვნაზედ შუამდგომლობის შესახებ მაკ-კინლეიმ უპასუხა ჩინეთის ელჩს, რომ ის მზად არის იკისროს შუამდგომლობა, თუ ზოგიერთი პირობა დაცული იქნება. რაში მდგომარეობს ეს პირობები, ელჩს ხვალ შეატყობინებენ.

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ შეერთებული ჯარები 17 ივლისს პეკინისაკენ წავლენ.

**ბერლინი.** ჩინეთის ელჩმა 8 ივლისს წარუდგინა გარეშე საქმეთა მინისტრს ჩინეთის იმპერატორის დეპეშა გერმანიის იმპერატორთან. ჩინეთის იმპერატორი სთხოვს ვილჰელმს დახმარებას და ჩინეთის დამშვიდებაში ხელმძღვანელობის მიღებას. ბიულოვმა გამოუცხადა ელჩს, რომ იგი არ გარდასცემს დეპეშას იმპერატორს, სანამ დანამდვილებით არ შეიტყობს პეკინში მყოფ ელჩების ამბავს და სანამ ჩინეთის მთავრობას კეტტელერის მოკვლის საზღაური არ გადაჰხდება და აგრეთვე სანამ ჩინეთი არ წარმოადგენს გარანტიას, რომ მომავალში იგი იმოქმედებს საერთაშორისო კანონების მიხედვით.

## ოფიციალური და სხვა ცნობები ჩინეთში არეულობის შესახებ

« ვაშინგტონში მყოფ ჩინეთის ელჩს მეტად უკვირს თურმე ევროპიელ სახელმწიფოების მოქმედება ჩინეთში. «ავ ენებს შეუძლიათ სთქვან, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებს განგებ სურთ გაამწვავონ ჩინეთის კრიზისი. რად არ წავიდნენ ევროპიელების ჯარები პეკინში საელჩოების დასახსნელად. ის მოსაზრება, ვითომც სექტემბრამდე ეს შეუძლებელი იყოს, მოკლებულია ყოველს საფუძველს. მე თვითონ 20 ათასი ჯარის კაცით ვიკისრებ პეკინამდე მისვლას, თუმცა სამხედრო სამსახურის კაცი არ ვარ. ევროპიელი ჯარები არ ვარგანან, რადგან არ ჰყავთ ნამდვილი უფროსი და ერთმანერთის შორის თვალით უყურებენ. ევროპის სახელმწიფოები დიდი საყვედურის ღირსნი არიან, რადგანაც პეკინის კატასტროფა მათი უმოქმედობის შედეგია».

« ლონდონში მყოფი იაპონიის ელჩის აზრით, მოსალოდნელია «მოკრივეთა» აჯანყება გავრცელდეს მთელ ჩინეთში, და ეს იქნება შედეგი ევროპიელების ჯარების ჩინეთში შესვლისა. პრინცი ტუანი პეკინიდან შიგნით ჩინეთში წავა, გამოაცხადებს თავის შვილს იმპერატორად. ომი შეიძლება რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს. თუ ევროპიის დიპლომატია მშვიდობიანობით დაათვალიერებს ჩინეთის არეულდარეულ საქმეებს, ეს იქნება მისი (დიპლომატიის) უშესანიშნავესი ნაწარმოები.

« ერთი მცოდნე პირის აზრით, ევროპიელთ ჯარები გაილაშქრებენ პეკინისაკენ მხოლოდ სექტემბერში. პე-

განში წასვლა შეიძლება სამის გზით-კაო-ჩაოთ, ტიანცზინით და შანჰაი გუანით. კაო-ჩაოს გზა გრძელი და, შეიძლება, სამშიც გასდეს, თუ შანტუნგის გუბერნატორი იუანშიკაი, რომელიც აქამომდე ევროპიელებს მეგობრულად ეპყრობოდა, პოლიტიკას გამოიცვლის; ტიანცზინით წასვლა შეუძლებელია, რადგანაც აქეთკენ დიდი წყალდიდობაა; უველაზედ მოსახერხებელია ჩრდილოეთის გზა—შანჰაი გუანით.

∝ რადგანაც ჩინელები დიდძალ ჯარს უყრიან თავს პეკინის მიდამოებში, ამიტომ ჰფიქრობენ, რომ ევროპიელთ აქ დიდი ბრძოლა მოუნდით.

∝ პეკინზე გალაშქრების დაგვიანება მეტად ხელს უწყობს ჩინელებს, რადგანაც მათ ეძლევათ დრო ჯარის შეკრებისათვის. ჩინელები არ სტოვებენ უყურადღებოდ თავიანთ ფლოტსაც და, როგორც ამბობენ, ამ მხრივაც დიდ მზადებას შესდგომიან. ამიტომაც არის, რომ თან-და-თან უფრო ხშირად ისმის სურვილი, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს მოკავშირეთა ჯარების პეკინისაკენ გალაშქრება.

∝ როგორც სტასტო გაზეთების ცნობებიდან სჩანს, რუსეთის საზღვარი ჩინეთის მხრივ ამ მოკლე ხანში სრულებით უზრუნველ ყოფილი იქნება.

∝ ელჩებთან ერთად პეკინში იყვნენ მათი ცოლ-შვილებიც და, რასაკვირველია, ამათაც არ ასცდათ საშინელი ხვედრი. მხოლოდ რუსეთის ელჩის გირსის ცოლი და ქალი წამოსულან პეკინიდან ჯერ კიდევ მაისში.

# ახალი ამბავი

✦ **გარდასახადთა რეფორმა კავკასიაში** გუშინდელ ნომერში მოყვანილი იყო, თუ რა უფლება და მოვალეობა ექნება ახალს ხარჯის გამწერ საგუბერნიო კომისიას. ეხლა გადავიდეთ სამაზრო კომისიებზედ. სამაზრო კომისია შესდგება გარდასახადთა ინსპექტორის, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელის, საუფლისწულო უწყების წარმომადგენლის, თუ მაზრაში საუფლისწულო მამულია, და მომრიგებელ შუამავალისაგან. გარდა ამისა, კომისიაში გუბერნატორი, მთავარ-მართებლის დამტკიცებით, მოიწვევს ადგილობრივ თავად-აზნაურობის და სხვა მცხოვრებთა წარმომადგენლებს; ამ გვარად მოწვეულ პირთა რიცხვი მაზრაში არ უნდა აღემატებოდეს 6-ს. სამაზრო კომისიების მოვალეობაა—შეკრება ცნობებისა მამულიბის რაოდენობის, ღირსების და შემოსავლიანობის შესახებ, გარდასახადის განაწილება მცხოვრებთა შორის და გარჩევა მცხოვრებთა მიერ წარმოდგენილ საჩივრებისა. გარდასახადის განაწილების შედგენის შემდეგ ატყობინებს მცხოვრებლებს, თუ ვიზედ რამდენია გაწერილი; ამასთანავე მათ ეძლევათ უფლება, თუ ვინმე არ ეთანხმება კომისიისაგან გაწერილ გარდასახადს, წარმოადგინოს თავისი მოსაზრება. სამაზრო კომისია განიხილავს ყველა წარმოდგენილ საჩივრებს, გამოსთქვამს მასზედ თავის შეხედულობას და მერე წარუდგენს საგუბერნიო კომისიას როგორც გარდასახადთა გაწერის პროექტს, ისე მცხოვრებთა საჩივრებს და თავიანთ მოსაზრებებს. საგუბერნიო კომისია განიხილავს ყველა წარმოდგენილ საბუთებს, შესცვლის, თუ სამართლიანად დაინახავს, გარდასახადთა გაწერის პროექტს, ამტკიცებს მას და უგზავნის სახაზინო პალატებს გარდასახადის ფურცლების გასაგზავნად.

✦ რადგანაც ტრაპიზონის ვილაიეტში შავი ჭირი გაჩენილა და შესაძლებელია კავკასიაშიაც გაჩნდეს, ტფილისის გუბერნატორმა ცირკულიარით წინადადება მისცა პოლიციმეისტერს, ქალაქის თავის მოადგილეს და მაზრის უფროსებს მეტი ყურადღება მიაქციონ ავადმყოფებს და, თუ საეჭვო რამ ნიშნები შეამჩნიონ, დაუყოვნებლივ შეატყობინონ მას. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლებისა და ქალაქების სანიტარულ მდგომარეობას.

✦ გუშინ წინ, 11 ივლისს, კავკასიის საიმპერატორო-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სამეურნეო საზოკადოების სადგომში სხდომა ჰქონდა, რომელზედაც საბჭოს განსახილველად ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად მომავალ 1900 წელს **კავკასიის სამეურნეო გამოფენის** მოწყობა-გამართვის საქმე. კრებაზე აგრეთვე დაესწრნენ საგანგებოდ მოწვეულნი საზოგადოების წევრნი: ვ. ნ. გეევსკი, გ. დ. ჟურული და ა. ა. ქალანთაროვი. საბჭომ ამ სხდომაზე, განიხილა რა ყველა ამ საქმის შესახებ ცნობები, დაადგინა: 1) წარუდგინოს განსახილველად მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მოწერილობის პირი პრეზიდენტს და მფარველს საზოგადოებისას კავკასიის მთავარ-მართებელს, რომელსაც სთხოვოს დახმარება გამოფენის საქმეში; 2) შეუდგნენ ეხლავე გამოფენისათვის საჭირო პროგრამის შემუშავებას, თანახმად მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მოწერილობისა; 3) სთხოვონ იმ დაწესებულებათ, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაში, შეატყობინონ საზოგადოებას თვისი მოსაზრებანი და აგრეთვე დანიშნონ თვისი წარმომადგენელნი გამოფენის მოსაწყობად მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და 4) შემუშავების შემდეგ გამოფენის პროგრამა წარუდგინონ თვისს პრეზიდენტისა და მფარველის შუამდგომლობით მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დასამტკიცებლად და აგრეთვე შეეკითხნენ ზემორე მოხსენებულ დაწესებულებათ, თუ რა მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ გამოფენისათვის ნავარაუდევს ხარჯში, რომელიც, საბჭოს გამოანგარიშებით, შეადგენს სულ 80,000 მანეთიდან 90,000 მანეთამდე.

✦ ყოვლად სამღვდელო ფლაბიანემ, საქართველოს ეგზარხოსმა, გორის მაზრის საბლაღოჩინოებში მრევლის უფრო თანასწორ განაწილებისათვის ცვლილება მოახდინა 10 საბლაღოჩინოში.

✦ ქალაქის გამგეობის 1899 წლის ანგარიში უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა სარევიზიო კომისიის წევრებს.

✦ სოფ. ზემო-მაჩხაანში მამა ღვთისავაროვის მეცადინეობით დაარსდა ქალთა სამრევლო სკოლა, რისთვისაც მოძღვარმა ეპარქიიდან მადლობა მიიღო.

✦ გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში გაჩენილა **საქონლის ჭირი**, რომელიც ძალიან ჩქარა ვრცელდება მეზობელ რაიონებში. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ჭირი მოჰყოლია ტფილისიდან მცხეთის გზით მოდენილ საქონელს. ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა აკრძალა ამ გზით საქონლის წაყვან-წამოყვანა; საქონლის მოყვანა ან წაყვანა შეიძლება მხოლოდ რკინის გზით.

რადგანაც ჭირი მეტად ვრცელდება, ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციამ გაგზავნა გორის მაზრაში ბეითლები ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრებიდან; ადგილობრივი პოლიციის დასახმარებლად გაგზავნილია გუბერნიის სამმართველოს ორი შტატს-გარეშე მყოფი მოხელე.

✦ გუშინ, 12 ივლისს, ბ-ნი მაკაროვი, გუბერნიის ბეითალი, წავიდა გორის მაზრაში ლოურის საბოქაულოში გაჩენილ საქონლის ჭირის გამო.

✦ შარშან თავ. ნ. ირ. ციციშვილმა კარგა დიდი ადგილი შესწირა კეხის-ჯვარის **სასოფლო სკოლას**; სკოლაც აშენეს; ამბობენ, მასწავლებელი ქალიც არის დანიშნულიო, მაგრამ სწავლა კი ჯერ არ არის დაწყებული; სკოლის შენობა დაკეტილიაო. ნეტავი ვისი ან რისი ბრალია ასეთი გაუგებარი მოვლენა?

✦ სოფ. ქარელში განუზრახავთ **სამკითხველოს დაარსება**; ნებართვაც აულიათ და 24 ივლისს წარმოდგენასაც გამართავენ ამ სამკითხველოს სასარგებლოდ.

✦ სოფ. დიხისში (ბორჩალოს მაზრა) მოსულ **სეტყვას** სრულებით **გაუნადგურებია** 40 დესეტინა ქერი.

✦ **მიწის მფლობელობის ეხლანდელი მდგომარეობის გამოსაკვლევად** ფინანსთა სამინისტრო შეუდგა მიწის მფლობელობის მოძრაობის სტატისტიკური ცნობების შემუშავებას. სხვათა შორის სამინისტრო სარგებლობს იმ ცნობებითაც, რომელნიც იბეჭდებიან სენატის განცხადებებში შესახებ მიწის საკუთრების მოძრაობისა.

✦ როცა ფინანსთა სამინისტროსაგან **განზრახული ახალი საგერბო წესდება** იქნება შემოღებული, შემოღებული იქნება ყოველ წლიური რევიზია არა თუ ყველა სახელმწიფო, სამოქალაქო, საერო და წოდებრივ დაწესებულებებისა, არამედ ყველა საოქციონერო საზოგადოებისა და ამხანაგობებისაც.

✦ ამ მოკლე ხანში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შემოიღებს კავკასიაში **ახალ წესებს შესახებ სამადნო მაღაროებში მუშაობისა** და ამ მუშაობის მეთვალ-ყურე მმართველობისათვის.

✦ სამშაბათს, 11 ივლისს, ქალაქის გამგეობა შეეკრა ნოტარიუს მღებროვთან ბ-ნ რობის პირობით მამადავითზე **ფუნიკულერის** გაყვანის შესახებ.

✦ ტრამვაის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნ რობის განზრახვა აქვს ამ ზაფხულშივე გაიყვანოს ტრამვაი ავლაბარში.

✦ ფრანგების ერთ კამპანიას მოლაპარაკება აქვს თავ. ციციშვილებთან შესახებ საციციანოს მთის იჯარით აღებისა. ფრანგები მადნის ყოველ ფუთზე 3 კაპ. იძლევიან; ჯერ მოლაპარაკება არ გათავებულა, მაგრამ უმრავლესობის სურვილია—გათავდეს საქმე და შემოდგომაზე მუშაობა დაიწყონ.

✦ **მართლ-მადიდებელ სამღვდელოების წარმომადგენელს** ქალა-

ქის საბჭოში მ. ცინცაძეს შუამდგომლობა აღუძრავს გამგეობის წინაშე, რათა „ლოტკის გორაზე“ დატოვებულ იქმნას 8 ნაჭერი განზრახულ მართლ-მადიდებელ ეკკლესიისათვის და სამრევლო სკოლისათვის.

✦ ქალაქის გამგეობა, რადგანაც ძალაში შევიდა საბჭოს გადაწყვეტილება შესახებ „ლოტკის გორის“ ნაჭრების იჯარით გაცემისა, შეუდგა კიდეც ამ მიწების იჯარით გაცემას. ჯერ-ჯერობით მსურველთა რიცხვი 100-ს არ აღემატება.

✦ შეცვლილია ტრაქტირებზე დადებულ გადასახადის გარდახდევინების წესი: თუ ტრაქტირის პატრონი დანიშნულ ვადაზე არ შემოიტანს დადებულ გარდასახადს, ტრაქტირს პოლიცია დაუკეტავს და დაკეტილი დარჩება, სანამ პატრონი არ შემოიტანს ფულს გამგეობაში. ეს დადგენილება შემოღებულია 1-ლი ივლისიდგან.

✦ მოკლე ხანში, ტფილისსა და ბაქოს შუა გზა ნახევარზე მეტი ორფა იქნება.

✦ სამხედრო რჩევის დადგენილების თანხმად, სამხედრო სასწავლებელთა უმთავრეს გამგეობასთან შემოღებულ იქმნებიან პედაგოგიური კურსები ოფიცრების მოსამზადებლად კადეტის კორპუსების აღმზრდელებად.

## ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების კრება

7 მაისს და 18 მაისს 1900 წ.

სოფელ კულაშში (ქუთაისის მაზრა) რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ წელს ორჯელ გამართა კრება პირველი 7 მაისს, ხოლო მეორე 18 ივნისს. 7 მაისის კრება, რომელსაც 140 კაცი და ქალი დაესწრო, გაახსნა ქ-ნ ე. ნ. კანდელაკის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო საზოგადოების განყოფილების წარმომადგენელი ნ. მკურნალი. კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სოფელ კულაშში საქალებო სკოლასთან ფრინველთა მოსაშენებელი სადგური, სადაც კარგი ჯიშის შინაური ფრინველის შექნა და ფრინველთა მოშენების სწავლება შეიძლებოდეს, და აგრეთვე სთხოვონ ქუთაისის გუბერნიის სახალხო განათლების დირექტორს გაიგზავნოს დედათა სკოლის მასწავლებელი ქალი ნ. ჯაშაკიძე ფრინველთა მოშენების შესახებ კურსების მოსასმენად. ქუთაისის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების განყოფილების საბჭომ, განიხილა რა კულაშის საზოგადოების შუამდგომლობა, დაადგინა სთხოვოს სახალხო განათლების დირექტორს ნება დართოს დედათა სკოლასთან ფრინველთა მოსაშენებელ სადგურის მოწყობაზე და მასწავლებელ ქალის ქ-ნ ჯაშაკიძის კურსებზე გაგზავნაზე. ამასთანავე საბჭომ გადასდო სადგურის მოსაწყობად საჭირო ფული. ეხლა უკვე მიუღიათ დირექტორისაგან ნება-რთვა და ახლო მომავალში კიდევ შეუდგებიან სადგურის მოწყობას სოფ. კულაშის დედათა სკოლასთან, სადაც მოსწავლეთ ასწავლიან შინაურ ფრინველების მოშენებას,

18 ივნისს კნ. სოფიო მიქელაძის თავმჯდომარეობით შემდგარ კრებას დაესწრო 480 ქალი და კაცი; კრებას დაესწრნენ აგრეთვე ქუთაისის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარე საპატიო წევრი გენერალ ლეიტენანტი თავ. ა. ო. მიქელაძე და მდივანი ნ. მკურნალი. პირველად კრებამ მოისმინა 7 მაისის კრების დადგენილებათა ოქმი, და შემდეგ აღძრულ იქმნა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მიენდოს განსაკუთრებულ კომიტეტს, უკვე წარმოდგენილს გეგმაზე, მოაწყოს ფრინველთა მოსაშენებელი სადგური და შედგენილ იქმნეს სოფელ კულაშის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების პირველი ზედამხედველი კომიტეტი. კრებამ ორივე წინადადება შეიწყნარა. შემდეგ საზოგადოებამ გაეცნო კულაშის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების ზედამხედველ-კომიტეტის კალდებულებანი, რომლითაც კომიტეტმა უნდა იკისროს ფრინველთა მოშენების გაუმჯობესობის საქმე, თვალ-ყური ადევნოს კულაშის ფრინველთა მოსაშენებელ სადგურს, დაეხმაროს ფრინველთა მომშენებელთ რჩევა-დარიგებებითა, და სხვანი. შემდეგ კრებამ განიხილა კულაშში მოსაწყობად განზრახულ ფრინველთა მოსაშენებელ სადგურის გეგმა, და აგრეთვე დაურიგდათ საჩუქრები 1899 წლის ქუთაისის სამეურნეო გამოფენის ექსპონენტებს.

ზედამხედველ-კომიტეტის წევრებად ამორჩეულ იქმნენ სამის წლის ვადით: ქ-ნ კნ. ს. პ. მიქელაძისა, ნ. დ. მიქელაძისა, პ. მ., ი., ო., ზ. ს. ა. მიქელაძეებისა და ე. კანდელაკისა, ქ-ნნი თავ. მ. დ., მ. ზ., მ. შ. და ს. რ. მიქელაძეები, საქალებო სკოლის მზრუნველი ი. მ. კანდელაკი, ე. ტ. მკურნალი და ი. ო. ახობაძე. ამათგან კომიტეტის თავმჯდომარედ თავ. ს. პ. მიქელაძე, მის ამხანაგად პ. დ. მიქელაძე და მდივნად თ. ს. რ. მიქელაძე. აგრეთვე ამორჩეულ იქმნენ საზოგადოების საპატიო წევრებად: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნ გერშელმანი, სტ. ხრ. ხოჯაევი, თავ. კლად. ხიმ. მიქელაძე, ა. ე. კუჩინო, თავ. მ. მ. ნაკაშიძე და ს. ე. იაშჩენკო.

# საღამოს დეპეშები

12 ივლისა

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება. რადგანაც სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკების $3\frac{1}{2}\%$ გირავნობის ფურცლებმა ფასეში ძალიან დაიწია, საჭიროდ იქმნა ცნობილი, დაცულ იქმნას რა ძველ მსესხებელთა გარდასახადის შეტანის პირობები, ახალ მსესხებელთა პირობები შეუთანასწორონ ბანკის იმ ვალდებულებათა პირობებს, რომლებიც საჭირონი არიან გირავნობის ფურცლების ახლად გამოსაცემად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა აკრძალა გაზეთი „სევერნი კურიერი“-ს გამოცემა ორი კვირით.

ნიკოლსიდან და სუნგარიდან სწრაფად წავიდნენ ჯარები ხარბინის გამოსახსნელად. გენ. მაიორი გერნგროსსი სცდილობს შეადგინოს დამცველი რაზმი, და იმედია ჩქარა მდგომარეობა გაუმჯობესდება. უმეტეს ნაწილს მცხოვრებლებისას კეთილი განწყობილება აქვთ რუსებთან და სასიამოვნოდ აქვთ გზის კეთება. ხარბინის განთავისუფლების შემდეგ, იმედია, განთავისუფლებულ იქმნებიან დანარჩენი ადგილებიც. პოლკოვნიკ მიშჩენკოს რაზმმა მოახერხა სადგურ დამიცაოზე მისვლა.

გროდეკოვის დეპეშა ხაბაროვსკიდან 9 ივლისს: „ბლაგოვეშჩენსკში დღისით მოისმოდა იშვიათად ზარბაზნის და თოფის სროლა, მაგრამ ზარალი არავისთვის არ მიუცია და საღამოთი სრულიად შესწყდა. კრეისერი „სელენგა“ აიგუნთან მოქმედებს და შველის ზაზეინის რაზმს. ადგილ-ადგილ ყაზახები გადადიან მდინარე ამურის იქიდა ნაპირზედ და იჭერენ ჩინელების სადარაჯოებს..

ხარბინიდან ლახასსუროში მოსული გემი იტყობინება, რომ ჩინელებმა აუტეხეს მას სროლა სანსინში, დაჭრილია ერთი მეზღვაური და ერთიც ქალი, სანსინში მცხოვრები რუსები ამ ჟამად შეფარებულნი არიან გემზე.

**ხარკოვი.** დღეს მოხდა არჩევნები ქალაქის თავის ამოსარჩევად. კენჭი იყარეს ოთხმა. პროფესორმა ზარუდინმა მიიღო 28 ამომრჩეველი ხმა, ხაინაიჩენკომ 23. დანარჩენები გაიშავეს.

**ლონდონი.** კაპშტადტიდან ოფიციალური დეპეშა 10 ივლისს: „კრონშტადტში ცნობა არ მოსულა გენტერისაგან. პოლკოვნიკი ბელლოკი იტყობინება 10 ივლისს გონინგსპრუიტიდან, რომ ბურების რაზმებმა ღამე გადასჭრეს სერფონტენიდან სამხრეთით რკინის გზის ლიანდაგი, რომელიც ეხლა თავისუფალია იმ ბურებისაგან, რომლებიც მიემართებიან რენოსტერის და ვაალის შესართავისაკენ. 100 გაილენდერი შეიპყრეს ვინდოვთან. რკინის გზის ლიანდაგი ძალიან არის გაფუჭებული, მაგრამ ჩქარა გააკეთებენ“.

**ლონდონი.** ინგლისის კონსული ტიანცზინში იტყობინება 8 ივლისს: „დღეს მოვიდა მაკდონალდის წერილი „თარიღით: პეკინი, 21 ივლისს,“ რომელშიაც ის შველას ითხოვს. „საზრდო ორ კვირის საკმარი გვაქვს, დიდ ხანს ველარ გაუძლებთ მტერს ჩვენ 44 მოგვიკლეს და ორიც მძიმედ დაგვიჭრეს.

**ლონდონი.** აქ ოფიციალურ წრეებში იმედი ებადებათ, იქნება ელჩები ცოცხლები იყვნენო.

**ვაშინგტონი.** შენმა დეპეშით შეატყობინა აქაურ ჩინეთის ელჩს, რომ უცხოეთის ელჩები აქედან დამცველი რაზმის მფარველობის ქვეშ იგზავნებიან ტიანცზინში. ჩინეთის მთავრობა არამც თუ მფარველობას უწევდა, არამედ მათ აძლევდა საზრდოსაც.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის პასუხი ჩინეთის იმპერატორის წერილზე შეიცავს შემდეგ პირობებს: 1) საყოველთაოდ გამოაცხადოს ჩინეთის მთავრობამ ცოცხლები არიან თუ არა უცხოეთის ელჩები პეკინში და თუ ცოცხლებია, რა მდგომარეობაში არიან; 2) ნება მიეცეთ დიპლომატთ თავის მთავრობებთან თავისუფალი მიწერ-მოწერისა და უშიშარ ჰყონ მათი მდგომარეობა; 3) ნება მიეცეს ჩინეთის მთავრობას ევროპიელთა განსათავისუფლებლად გაგზავნილ ექსპედიციასთან ერთათ იზრუნოს უცხოელთა დასაფარავად და წესიერების აღსადგენად. თუ ეს წესები შესრულებული იქნება, მაკ-კინლეი ჰფიქრობს, რომ არაფერი საქმის დაუშლის მშვიდობიანობით დაბოლოვებას, და პრეზიდენტი, დანარჩენ სახელმწიფოთა თანახმობით, მზად არის სამსახური გაუწიოს ჩინეთის იმპერატორს.

**პარიზი.** დელკასემ მიიღო საფრანგეთის უფროს კონსულისაგან შანხაიში 10 ივლისის დეპეშა: „ლიხუნჩანგმა დამარწმუნა, რომ პიშონი ცოცხალია, და დამპირდა გადასცეს მას ჩემი დეპეშა, რო-

მელზედაც პასუხს 5 დღის შემდეგ ველი.

დელკასემ მიიღო შემდეგი დეპეშა საფრანგეთის კონსულისაგან ტიანცზინში: „ქალაქში მშვიდობიანობა სუფევს და 4 ივლისს მიიღო ჩვეულებრივი სახე,. პეკინში 4 ივლისს გაგზავნილი შიკრსკი დაბრუნდება 7დღის შემდეგ“.

**მოსკოვი.** მომვლელ ქალთა საზოგადოება „утоли моя печали“ ამზადებს სასანიტარო რაზმს შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნათ. რაზმი შესდგება 100-ზე მეტი მომვლელი ქალისგან- თან მისდევს საზოგადოების უფროსი ქალი შახოვსკაია.

**პეტერბურგი.** 11 ივლისს. ბირჟა. $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები ტფილ. სადგილ-მამულო ბანკისა გაიყიდა 86 მან. 6% გირ. ფურც. ქუთაისის სადგილ მამულო ბანკისა—$101^1/_2$ გამყიდველი, 57%—$98^1/_2$ გამყიდველი.

**პეტერბურგის ბირჟა 11 ივლისს**

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $97^1/_2$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 100 | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $98^1/_4$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $309^3/_4$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 260 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $201^1/_2$ |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | $90^3/_4$ | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | $97^1/_2$ | — | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნ ი ხ რ ი

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 | კ. $8^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . . . . | » | — 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | კ. | 5 კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ « |
| » » | III | » | » | » | 3 » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |

---

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. კ., |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1—5— | |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შაშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შაშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 » | 25 » |
| № 1—8 » | 50 » | № 5—7 » | — » |
| № 2—8 » | — » | № 6—6 » | 75 » |
| № 3—7 » | 50 » | № 7—6 » | 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თითრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იეღიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუადღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюля 1900 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.